გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 57

2024 წლის 12 აპრილი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა - ნაგებობის (ს/კ 66.42.11.033.608), პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 3 აგვისტოს (N19/2023215104-20) და 2023 წლის 7 აგვისტოს (N19/2023219216-20) შემოსულია განცხადებები, რომელშიც აღნაგობის ფორმით, ავტოსახელოსნოს გახსნის მიზნით, 10 წლის ვადით, მოთხოვნილია, სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.033.608 (ნაკვეთის წინა ნომერი: ს/კ 66.42.11.033.605 და ს/კ 66.42.11.000.371) უძრავი ქონება ფართობით 300 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (ფართი - 63,50 კვ.მ).

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 19 თებერვლის N 028-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.42.11.033.608 (დაზუსტებული ფართობით - 300.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (ფართი - 63,50 კვ.მ), მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი შინდისი, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 7600,00 (შვიდიათას ექვსასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი აღნაგობის ხელშეკრულებით გაცემის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფ. შინდისში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (ს/კ 66.42.11.033.608) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, გაცემული იქნას სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის,

საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.42.11.033.608 (დაზუსტებული ფართობით - 300.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (ფართი - 63.5 კვ.მ), მისამართი: გორის რაიონი, სოფელი შინდისი, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, კომერციული დანიშნულებით - ავტოსახელოსნოს გახსნის მიზნით.
2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.42.11.033.608 (დაზუსტებული ფართობით - 300.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - ის (ფართი - 63.50 კვ.მ), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 7600.00 (ცხრა შვიდიათას ექვსასი) ლარით.

3. საწყისი წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით.

4.აღნაგობის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლის ვადით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) ს/კ 66.52.23.004 უძრავ ქონებაზე მოეწყოს ავტოსახელოსნო ასევე, მოწესრიგებულ იქნას მიმდებარე ტერიტორია (ქონების მიმდებარედ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა).

ბ) მშენებლობის პროექტი შეთანხმებულ იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის განყოფილებასთან.

გ) მიწის ნაკვეთზე ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, აღნაგობის უფლების მქონე პირზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**